**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვისძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893　　სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი　　1877—1893



**ბაბილინა ვახტანგის ასული გეგურიშვილისა და გიორგი გურგენის ძე გეგურიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა, პირველი ძმისას, ხოლო მეორე ცოლის ძმისას კაპიტანის **ქიშვარდი ვახტანგის ძის ჯაყელისას** და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზე, ორშაბათს, ამ თვის 22, დილის ცხრა საათზე. მიცვალებულს გაასვენებენ „გრანდ-ოტელის" სასტუმროდგან წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში.

**საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება**

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.
სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9—2 საათა-მდე.
(50—8)　　აგენტი დ. ქ. თუთაევი


## ახალი ამბავი

*** უსინათლოთა სამზრუნველოს განყოფილების საბჭოს თავმჯდომარე ევდოკია ბორისის ასული შერემეტიევისა აცხადებს, რომ კვირას, 21 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე [illegible] აკურთხებენ უსინათლოთათვის ახლად დაარსებულს სკოლას. (ნიკოლოზის ქუჩა, № 99).

*** წმინდა ნინოს დედათა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭო აუწყებს ტფილისის წმინდა ნინოს სასწავლებლის მოსწავლე ქალთა მშობლებს და ნათესავთ, რომ მოსწავლე ქალთა აღზრდისა და სწავლისთვის შემოსატანი ფული გამოუგზავნონ საბჭოს ნახევარი 1 სექტემბრისა და ნახევარი 1 იანვრისთვის: ვინც დანიშნულ ვადზედ ან ერთის თვის განმავლობაში არ წარმოუდგენს ხვედრს ფულს, იმათი შვილები ან ნათესავი მოსწავლე ქალები დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნებიან სასწავლებლიდგან.

*** გუშინდელს ნომერში მოხსენებული გვქონდა, რომ ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა დირექტორმა მოითხოვა, რომ სახელოსნო სასწავლებელში ქართულ სახელმძღვანელოების მაგივრად რუსული შემოვიღოთო. ამისი მიზეზი ის გამოდგა, რომ ჯერ არა თუ ქართულზედ, რუსულ ენაზედაც არა ყოფილა ყველა ის სახელმძღვანელო წიგნები, რომლებიც საჭიროა სახელოსნო სასწავლებელში, თუმცა-კი წინად საერო განათლების მინისტრის ნებართვით საერო სკოლების დირექტორმა ნება მისცა სახელოსნო სასწავლებელში ქართული სახელმძღვანელოები იხმარათ. ეს საქმე ამ ცოტა ხანში გადაწყდება.

*** ტფილისის გუბერნიის სამკურნალო გამგეობას შეუკვეთია საათთიაქო მაღაზიის პატრონ გრივნაკისთვის, — ორი სადეზინფექციო სასხურებელი მანქანა გაუგზავნეთ ტფილისის მაზრის უფროსსა, რომ ტფილისის მაზრის სოფლებში დეზინფექცია მოახდინონ, თუ ვინიცობაა ხოლერა გაჩნდა ამ გაზაფხულზეო. იმავე გამგეობამ განკარგულება მოახდინა, მიეცეს კავკასიის სამკურნალო სადეზინფექციო საწყობიდგან სხვადა-სხვა წამლები იმავე მაზრის უფროსს: სულემა 10—გირვანქა, ერთი ფუთი გაკეთებული კარბოლის სიმჟავე და 20 ფუთიც დაგვარჯილებული.

*** 16 მარტს, [illegible] გასტეხეს სახლი ინჟენერ-ტეხნოლოგის რაფ. ნიკ. ყაზბეგისა, მიხეილის ქუჩაზედ № 123. გაიტანეს გულის ქინძისთავი, ღირებული 302 მანათად და ვერცხლის სინი, ღირებული 100 მ.ნ. პოლიციამ იპოვნა სინი და პატრონს დაუბრუნა. გულის ქინძისთავი-კი ჯერ არა სჩანს. დამნაშავე, გორის მაზრის მცხოვრები, არსენ მიხეილის ძე გაბარაშვილი, უკვე შეიპყრეს.

*** ამას წინად ხმა გავრცელდა, ვითომ გუმბრში ხოლერა გაჩნდაო. მკურნალებმა ყურადღება მიაქციეს ამ ხმებს, ავადმყოფები გასინჯეს და დარწმუნდნენ, რომ ეს ავადმყოფობა სრულებით ხოლერა არ არისო.

*** ხოლერასთან საბრძოლველად მთელს კავკასიაში ღონისძიებათა მიღება დაეკისრათ კავკასიასა და სტავროპოლის გუბერნიაში კავკასიის სამკურნალო მმართველობას. მმართველობას უკვე გამოუგზავნეს პეტერბურგიდგან ათი ექიმი. ექვსი მათგანი უკვე ჩამოვიდა ტფილისს და დანიშნულ იქმნენ კავკასიის სხვადა-სხვა გუბერნიებში. ხოლერის გაჩენამდე დეზინფექციისთვის გადადებულია 50,000 მან. აქედგან 20,000 მანათისა უკვე ნასყიდია სხვა-და-სხვა სადეზინფექციო იარ.ღები და წამლები. გარდა ამისა ხაზინამ გადასდო 200,000 მანათი ხოლერასთან საბრძოლველად, თუ ვინიცობაა ამ ზაფხულს გაჩნდა.

*** სვირი: გუშინ-წინ, 18 მარტს, რკინის გზის [illegible] ლში ორჯელ რევოლვერი გაისროლა, ერთი ტყვია მარჯვენა მხარში მოირტყა და სუბუქად დაშავდა. ჟანდარმმა და სადგურის უფროსმა ალბერტმა რევოლვერი წაართვეს. შემდეგ ლუპიანი სადგურზედ გაიქრა და იქ ერთი ალიაქოთი ასტეხა; მერე მატარებელში ჩაჯდა და არავინ იცის, საით წავიდა.

*** სოფ. ზაკურცისე (სიღ. მაზ.): რა გაიგეს აქაურმა ჩარჩებმა, რომ ჩვენ სოფლელებს პური სასყიდელი აქვთო, წამოსულან და უყიდნიათ ტფილისში ფქვილი სულ დაბალის ხარისხისა, ფუთი 1 მანათად და 1 მ. 10 კაპ. შიგ გადურევიათ კიდევ სიმინდისა და ფეტვის ძველი ფქვილი. მოიტანეს და დაიწყეს გასყიდვა ფუთი—1 მ.—60 კაპ. ნაღდად და ნისიად 2 მანათად. ფასს ვინლა სჩივის, ნეტავი რიგიანი ფქვილი მაინც იყოს. უბედურება ის არის, რომ გემოც ცუდი აქვს და მეტად საძაგელია, მაგრამ საწყალი ხალხი მაინც ყიდულობს. მეტი რა გზა აქვთ, სიღნაღზედ დაშორებულნი არიან და აქ-კი ზედ კარზედ არის მოტანილი. ამისთანა ყალბ მოვაჭრებს უნდა აღეკრძალოთ ვაჭრობა, რომ პატრონი იყოს.

*** იქიდამე: როგორც შევიტყეთ, პირველ აპრილიდგან სიღნაღ-თელავ შუა ყოველ დღე დილიჟნები დაიწყებენ სიარულს და მგზავრებს წაიყვან-წამოიყვანენ. სიამოვნებით მივეგებებით ამ ამბავს, ოღონდაც ფასები [illegible]

*** ს. ნორიო (ტფილისის მაზრა): კვირას, 14 მარტს, ჩვეულებრივ მიიწვიეს ხალხი სკოლის ეზოში და წაუკითხეს შემდეგი მოთხრობანი: მღვდელმა ანდრიაშვილმა წაუკითხა წმ. რაჟდენზედ, სპარსთაგან წამებულზედ და მასწავლებელმა—პოემა

## ფელეტონი

### ქეიფი

დაასხი, დაასხმეინე,
დალიე, დამალევინე,
თუ ვერ დავცალე, ძალითა
ასწიე, დამაცლევინე.
სიყვარულისა მორევში
ხელები მომარევინე,
ლამაზის ყურებაშია
სიცოცხლე დამალევინე!

თ. რაზიკაშვილი

### უცხოთა შორის

გილიოტინა და ელექტროკუცია.—კაცთმოყვარეობა მე-XIX საუკუნეში.—როგორა ჰკლავენ ავაზაკს.—მოხსენებანი ბიროსი და დ-ორსივალისა.—ჩემი ფილოსოფია.—ველოსიპედისთანა კარგი არა ყოფილა-რა.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ერთს ფრანგ მკურნალს ძრიელ შეეცოდა საბრალო ავაზაკები, რომელთაც სიკვდილით სჯიდნენ. ეს მკურნალი გილიოტენი გახლდათ. იფიქრა, იფიქრა ამ ფრანგმა და ერთი კარგი მანქანა მოიგონა ავაზაკებისთვის. ამ მანქანას „გილიოტინა" დაარქვეს. როგორც ჰხედავთ, ფრანგებმა დიდი პატივი სცეს გილიოტენს და მის მიერ გამოგონილს მანქანას მისივე სახელი დაარქვეს, რათა უკვდავ იყოს სახელი კაცთ-მოყვარე მკურნალისა. კოლუმბსაც არა ჰღირსებია ასეთი ბედი. მთელი ახალი ქვეყანა—ამერიკა აღმოაჩინა და ამ ქვეყანას მისი სახელი მაინც არ დაარქვეს.

ამ საუკუნის დასასრულს ამერიკელებსაც ძლიერ შეეცოდათ საბრალო ავაზაკები და, რათა მათ უფრო ნაკლებად იგრძნონ სიმწარე ხორცისა და სულის გაყრისა, ახალი მანქანა მოიგონეს ავაზაკების საიქიოს გასასტუმრებლად. მანქანას ამერიკელებმა „ელექტროკუცია" დაარქვეს.

ეს „ელექტროკუცია" ცოტათი განსხვავდება ეგზეკუციისაგან. „ელექტროკუციას" მხოლოდ ავაზაკები და კაცის მკვლელები ეღირსებიან ხოლმე ამერიკაში. ჩვენში-კი ეგზეკუციით ისეთს სოფელსაც აბედნიერებენ, რომელსაც არა თუ კაცი არ მოუკლავს, ხშირად იმდენი საქონელიც არ მოეპოვება ხოლმე, რომ დაჰკლას და სიმშილი მოიკლას.

დიაღ, „ელექტროკუცია" სულ სხვა რამ არის. ასის წლის წინად ხალხს დანითა ჰხოცავდნენ და ეხლა-კი ელექტრონით. მაშასადამე, ეხლანდელი ხალხი უწინდელზედ უფრო კაცთ-მოყვარე და უფრო ჩჩვილის გულისა ყოფილა.

**

მართალი უნდა ვსთქვათ, „ელექტროკუცია" არც ისე ახალი გამოგონებაა. პირველად „ელექტროკუციით" ამერიკელებმა წიაღთა შინა აბრამისა გაისტუმრეს კაცის მკვლელი, ვილიამ ვემლერი, იგივე ჯონ გარტი (გამოჩენილ ავაზაკებმა უეჭველად ორი ან სამი სახელი უნდა ატარონ).

ამის შემდეგ ათიოდე ავაზაკს გაუღიმა ბედმა და თავიანთ თავზედ გამოსცადეს, რამდენად სასიამოვნო ყოფილა „ელექტროკუციის" წყალობით განშორება ამ მუხთალ წუთი სოფლისაგან.

მაგრამ ვისაც ჯერ არ ჰღირსებია ეს „ელექტროკუცია" თავის თავზედ გამოეცადნა, იმათ დიდი მითქმა-მოთქმა ასტეხეს: ზოგი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ „ელექტროკუცია" ჩინებული რამ არისო, ავაზაკი „ელექტროკუციის" დროს სრულიად არა გრძნობს ტკივილს და წამსვე ესალმება წუთი სოფელსაო.

ზოგი-კი ამბობს, რომ „ელექტროკუცია" ადამიანს ძლიერ აწვალებს, ავაზაკი მეტად იტანჯებაო და სხვ. ერთის სიტყვით „ელექტროკუცია" ეგზეკუციაზედ უარესი არისო.

ვინ არის ამათში მართალი? რასაკვირველია, ორივენი მართალნი უნდა იყვნენ.

**

ამერიკელები დარბაისელი ხალხია. ჯერ „ელექტროკუცია" პირუტყვებზედ სცადეს და როცა აღმოაჩნდა, რომ ელექტრონი პირუტყვებს მსწრაფლ ჰხოცავდა, მერე დაიწყეს ელექტრონით კაცების ხოცვაც. აი როგორ იქცევიან კაცთ-მოყვარე ამერიკელები. ავაზაკს სკამზე დასვამენ და ზედ მიუბამენ ბაწრებით თავსა, გულსა და ხელ-ფეხს. ელექტროკუციის მაშინები მეორე ოთახშია, ასე რომ ავაზაკი ვერაფერს ვერა ჰხედავს.

**

„როცა ყველაფერი მოამზადესო, სწერს დ. ელი, შემოიყვანეს ავაზაკი და სავარძელში ჩასვეს, მერე ამავე სავარძელზე მიაბეს ბაწრით. მოხვდა თუ არა ელექტრონის ძალა ავაზაკს, იმ წამსვე ავაზაკის სხეული სრულიად გაშეშდა. არც ხმა ამოუღია და არც დაუკვნესია. ამ რიგად „ელექტროკუცია" სულ $2^1/_2$ წუთში ჰკლავს კაცსაო, მაშინ როდესაც კაცის ჩამოხრჩობას 15—20 წამი უნდებაო", დასძენს დიდის ამპარტავნობით ამ ამბავს ბ-ნი დ. ელი.

გარდა ამისა, თუმცა „ელექტროკუციას მრავალი ხალხი დაესწრო, მაგრამ უწესობა არა მომხდარა-რა და ყველაფერმა „მშვიდობიანად" ჩაიარაო. „ელექტროკუციის" შემდეგ იმ წამსვე ავაზაკის გვამი გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ სხეულში დიდი ცვლილება არა მომხდარა-რა.

მაშასადამეო, დასასრულ ამბობს დ. ელი, ელექტროკუცია საუკეთესო საშუალება ყოფილა ადამიანის მოსაკლავად და ჩამოხრჩობასთან შედარებით, ძლიერ სასიამოვნო საშუალებაც არისო. მოდი და ნუ დაეთანხმები ასეთს სპეციალისტს და ნუ იტყვი: გაუმარჯოს კაცთ-მოყვარე მე-XIX საუკუნეს, რომელმაც უფრო სასიამოვნო საშუალება გამოიგონა ადამიანის იმ ქვეყნად გასასტუმრებლად, «სადაც იგი არ არს არცა ჭირი, არცა სულთქმა, არცა ურვა, არცა მწუხარება, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი"...

**

სპეციალისტი დ. ელი ბრძანებს, რომ ელექტროკუციის შემდეგ ავაზაკის გვამი გავჭერითო. შეიძლება მკითხველს ეჭვი დაებადოს, მართლა

ა. ფურცელაძისა „მარაბდა“. კითხვას ზედ ერთობოდა შესაფერი ახსნა-განმარტებაცა. ხალხი მეტად ნასიამოვნები დარჩა. ზოგიერთმა მოიგონა ამ მარაბდის ომისა და ცხრაძმა ხერხეულიძეთა გამო „დიმიტრი თავდადებული“, როცა მოხუცი ეუბნება მეფეს, აი ორი შვილი მყავს, ორივე შენ გენაცვალონო. მიუგონეს აგრეთვე «დედა და შვილი». ეს ამბები ძალიან ჰგვანან ერთმანეთსაო.

*** მარელისი: 18 მარტს მარელისის მახლობლად მატარებლის ქვეშ ჩავარდა გორის მაზრის, სოფელ ქვიშხეთის მცხოვრები, კონდუქტორი იოაკიმე ტაბატაძე. თვლებმა მარცხენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ყვირილა: 18 მარტს, ღამე, ვიღამაც ვაგონის კლიტე გასტეხა და ერთი ყუთი მოიპარა, ფეხთსაცმელით სავსე.

*** სომხურ გაზეთ „ნორ-დარის“ სიტყვით, ქუთაისში მოვაჭრეებს განუზრახავთ მიჰმართონ გუბერნატორს, და სთხოვონ, კვირაობით ვაჭრობა აღიკრძალოს ქუთაისშიო.

*** იმავე გაზეთს აუწყებენ იმერეთიდან, რომ იქ ყელ-ჭირველა მძინვარებსო.

## სასულიერო მთავრობის განკარგულებანი

ებოძა წმ. ანნას მესამე ხარისხის [illegible] ეკლესიის მღვდელს სიმონ მგალობლიშვილს, ჯილდოდ გულ-მოდგინე სამსახურისა სასულიერო უწყების სხვა-და-სხვა თანამდებობაზედ თორმეტის წლის განმავლობაში.

გარდისუბნის ეკლესიის მღვდელი დავით გიუნაშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, გარდაყვანილ იქმნა ტფილისის მაზრის სოფ. მოხისის სამრევლოში მღვდლის თავისუფალს ადგილზედ.

ზარისახოს სამრევლოს მღვდელი იოანე ზარიძე და მაღრანის სამრევლოსი — სოლომონ სამადაშვილი, თავიანთისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნენ ერთი მეორეს ადგილზედ.

უადგილოდ მყოფი მღვდელი აბრაამ აბაზაძე, თავისისავე თხოვნის თანახმად, დანიშნულ იქმნა მაქოს გუბერნიის დ. ჯეგეთის ეკლესიის მღვდლის თავისუფალს ადგილზედ.

ოსიაურის ეკლესიის დიაკვნად ნამყოფი მიხეილ ბერიძე, თავისისავე თხოვნის თანახმად, დანიშნულ იქმნა გუჯარეთის სამრევლოს მედავითნეს თავისუფალს თანამდებობაზედ.

სიღნაღის მაზრის პირველ საბლაღოჩინო ნაწილის სამღვდელოების არჩევით, ბოდბისხევის წმ. კვირიკე და ივლიტას ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ მაღლაძე დამტკიცებულ იქმნა ხსენებულ სამღვდელოების მოძღვრად.

საეკკლესიო მნათეებად დამტკიცებულ იქმნენ:

თელავის მაზრაში: სოფ. არტაანის მცხოვრებელი გლეხი საბბა წიპლაშვილი — არტაანის წმ. აღდგომის ეკლესიაში; სოფ. ნაფარეულის მცხოვრებელი გლეხი დავით გურგენიშვილი — სოფ. ნაფარეულის ღვთის-მშობლის მიძინების ეკლესიაში.

ეკკლესიის სამზრუნველოს წევრებად დამტკიცებულ იქმნენ:

ნაფარეულის ღვთის-მშობლის მიძინების ეკლესიისა და არტაანის წმ. აღდგომის ეკლესიის მრევლის არჩევით ამ ეკლესიების სამზრუნველოთა წევრებად [illegible] სებ ბალაშვილი და სოლომონ ახალკაციშვილი; არტაანისა — ილარიონ მამუკაიშვილი (იგივე გლახაშვილი), ზაქარია ყონჩიაშვილი და ილარიონ ჩახ[illegible]ტაშვილი.

გურია-სამეგრელოს ეპარქია: ქვიშარის მაცხოვრის ეკლესიის მედავითნე სიმონ ცხოველიანი გარდაიცვალა და იმის ადგილზედ გადაყვანილ იქმნა განდუშის ეკლესიის მედავითნე გიორგი სალუქვაძე, ხოლო უკანასკნელის თანამდებობაზედ-კი დაინიშნა მღვდლის შვილი ალექსანდრე გიორგის ძე ყიფიანი.

საჩხერის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი გიორგი ასათიანი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დათხოვნილ იქმნა თავისის თანამდებობიდგან, ხოლო იმის ადგილას ხელ-დასხმულ იქმნა დგნორისას წმ. გიორგის ეკლესიის მთავარი ლუკა ასათიანი, 2 თებერვალს.

ლეწურწუმის წმ. გიორგის ეკლესიის მედავითნე კიპრიანე ჟვანია 2-ს ამა თებერვლისას ხელ-დასხმულ იქმნა მთავრად თავის სამსახურისავე ადგილს.

ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელთან 6 თებერვალს იკურთხა ახალი ფიცრული ეკლესია წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობაზედ, სადაც მთავრად ხელ-დასხმულ იქმნა 6-ს და მღვდლად 7-ს თებერვალს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასების მასწავლებელი, სტუდენტი სემინარიისა არსენ თოხაძე და ამ ახლად ნაკურთხს ეკლესიაში დაინიშნა.

1893 წლის 28 იანვარს საეკკლესიო მნათეებად დამტკიცებულ იქმნენ გლეხნი: ეგნატე რურუა — ორკის თევდორე ტირონის ეკლესიაში; პეტრე ფოჩხუა — ბანძა-ვედილკარის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში; ალექსი ქაჯაია — ონოგიის იოანე ნათლის-მცემლის ეკლესიაში; დავით ქედია — კოლორის მაცხოვრის ეკლესიაში; ბესუკა ბრელიძე — ლესაინდრა-ნაჯახოვის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში; სიმონ დუნდუა — [illegible] ეკლესიაში; მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში; ოქროპირე დუნდუა — მარინის წმ. გიორგის ეკლესიაში; სიმონ ჭყადუა — ნაფაგაურის ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის ეკლესიაში; პირანე ანალია — გაუწყინარის წმ. გიორგის ეკლესიაში; თევდორე შალაბერიძე — ქვიშანჩალის წმ. გიორგის ეკლესიაში და მეთოდი გასვიანი — ჩკალბერის ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის ეკლესიაში.

სამრევლო-საეკლესიო სასწავლებლის მასწავლებელი, სტუდენტი სემინარიისა ნიკოლოზ სტეფანეს ძე რამიშვილი ხელ-დასხმულ იქმნა მღვდლად ქვენობანის წმ. გიორგის ეკლესიის პირველ მღვდლის თავისუფალს ადგილზედ.

სარიგონას წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი სტეფანე ხაბურძანია, თავისისავე თხოვნით, დათხოვნილ იქმნა მღვდლის თანამდებობიდგან, იმის ადგილას მღვდლად ხელ-დასხმულ იქმნა ზუგდიდის ეკლესიის მთავარი ბესარიონ ხაბურძანია, ხოლო უკანასკნელს თანამდებობაზედ დაინიშნა მედავითნე ვასილ კალანდაია.

## კიდევ აპოკრიფების შესახებ

ამ რამდენისამე თვის წინად „ივერიაში“ დავბეჭდე წერილი, რომლითაც მკითხველებს უმორჩილესად ვთხოვდი გაეზიარებინათ გაზეთით ან სხვა გზით ცნობანი ქართულ აპოკრიფების შესახებ. აქამდის მხოლოდ ბ-ნმა გ. საძაგლოვ-ივერიელმა აღნიშნა „ივერიაში“ ხელნაწერი გორის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ივ. დ. სულხანიშვილის წიგნთ-საცავიდგან. ეს მანუსკრიპტი მართლაც საყურადღებოა: მასშია მოქცეული „წმიდის ღვთისმშობლისაგან კაცთა ცოდვილთა სტანჯველთა ხილვა“; 2, დიდს „ხუთშაბათს გოდება წმ. ღვთისმშობლისა“; 3, „მცნება და ბრძანება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელი მიეცა [illegible] პრომთა პაპასა“. და სხვ. პირველი დასახელებული აპოკრიფი უდრის რუსულს ლიტერატურაში ცნობილს „Хожденіе Богородицы по мукамъ“ და მესამე ჩვენი მოთხრობა რუსულს „Епистолья о недѣли“. შედარებამ დაგვარწმუნა, რომ განსხვავება მხოლოთ-ოროლა არგილს შეეხება და საერთო შინაარსი ეჭვს გარეშეა. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ქართველი აპოკრიფები რუსულიდგან იყვნენ ნათარგმნი. აქამდინ ჩვენ შევხვდით მხოლოდ ბერძნულ და სომხურ ენიდგან გადმოღებულ ეკკლესიისგან უარ-ყოფილ მოთხრობებს. „ღვთისმშობლისაგან კაცთა სატანჯველთა ხილვა“ შესანიშნია იმ მხრივ, რომ მას დიდი გავლენა ჰქონია ერის წარმოდგენაზედ, რა წვალება მოელის ცოდვილთ ჯოჯოხეთში. ამ ორის წლის წინად „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო საყურადღებო ფელეტონი ფშაველთა რწმენა საიქიოზედ. შედარება ამ წერილისა და აპოკრიფებისა თვალ-საჩინოდ ჰყოფს მათ კავშირს და ურთიერთზედ გავლენას.

საიქიოს წარმოდგენა ივსება ერთის აპოკრიფით, რომელიც ნათარგმნია სომხურ ენიდგან. მას ეწოდება: „ხასი გრიგოლ განმანათლებელისა ანგელოზთან“. გრიგოლ განმანათლები შეეხვეწა უფალს „გვედრები, სამი საათით ანგელოზი ჩემთან მომივლინო და ვთხოვო, რაც მინდაო“. ისმინა უფალმა ვედრება და მოუვლინა ანგელოზი. რას თხოულობო?, ჰკითხა ანგელოზმა. შეიტყობს სული თავის პატივს ანუ ცოდვას, როცა ხმალს მიიტან სულის ამოსართმევადაო? — შეიტყობს, მიუგო ანგელოზმა. სული, ამბობს ანგელოზი, არის მსგავსი ცეცხლისა და ნათელისა, თუ კაცი მართალიაო და — ბნელი ცოდვილ არსების ყოველ სავსეო ბოროტებითა. ჰკითხა გრიგოლ განმანათლებელმან, როგორ ამოართმევ სულსა ცოდვილსაო? მიუგო ანგელოზმან: როდესაც მივალ ცოდვილთან, ვეჩვენები ავ ანგელოზივით საშინელ სანახავად და ხმალიც ხელში მეჭირება. შეწუხდება ჩემის ნახვისაგან, ენა დაებმება, თავს მომარიდებს, თვა-

---

გვამი გასჭრეს მკურნალებმა, თუ გულ-წასულის ავაზაკის სხეული. ელექტროკუცია მართლა სრულიადა ჰკლავს კაცსა, თუ მხოლოდ ღრმად აძინებს? რა ჰკლავს ავაზაკსა: ელექტრონის ძალა, თუ ჯარა ექიმის დანა?

საფრანგეთის მკურნალმა ბიროშა და დ-ორსივალმა კარგად გამოიკვლიეს ეს „ელექტროკუცია“ და აღმოჩნდა, რომ ისეთის ძალის ელექტრონის მანქანით, რომელსაც ამერიკელები ხმარობენ ავაზაკის მოსაკლავად კურდღლის ბაჭიასაც ვერ მოჰკლავთო. ბიროშა და დ-ორსივალმა ეს „ელექტროკუცია“ კურდღლის ბაჭიებზედ გამოსცადეს და აღმოჩნდა, რომ ელექტროკუციით მოკლულ ბაჭიის გაცოცხლება შესაძლებელი ყოფილა. ბიროშა და დ-ორსივალმა თავიანთი გამოკვლევა შეატყობინეს ამერიკელებს და ურჩიეს, ელექტროკუციის შემდეგ კაცს-კი ნუ გასჭრითო, ეცადეთ მოასულიეროთო. მაგრამ ამერიკელებსა ამაზედ ყურიც არ შეიბერტყეს. იმ წამსვე, ელექტროკუციის შემდეგ სჭრიან ადამიანის გვამსა. კარგადაც იქცევიან, ღმერთმანი. „ეცადნეთ მოასულიეროთო“ — რომელია? იქნება მართლა გაცოცხლდეს ავაზაკი, მერე? მერე ისევ ელექტროკუცია უნდა იხმარონ, ვიდრე ავაზაკს სიცოცხლე მოსწყინდება და თითონ მოისურვებს საიქიოს გამგზავრებას. დიაღ, თუმცა სპეციალისტების აზრით „ელექტროკუცია“ ძლიერ კარგი მოგონებაა, თუმცა ეს ელექტროკუცია ჩამორჩობას გაცილებით სჯობია და „ელექტროკუციის“ დროს ავაზაკი უსიამოვნებას არა ჰგრძნობს, თუმცა ელექტროკუცია „მშვიდობიანად“ ჩაივლის ხოლმე, მაგრამ ვინ იცის, იქნება სპეციალისტებიც სცდებოდნენ.

მეორეს მხრივ, არა გვგონია, რომ სასურველი იყოს ცოცხალის კაცის დასაფლავება, თუმცა იგი გულ წასული და გრძნობა დაკარგული იყოს. საფლავში რომ გაცოცხლდეს, მერე? მაშინ ხომ დამტკიცდება, რომ ელექტროკიუციას ისევ ჩამორჩობა სჯობიან. არა, ისევ ამერიკელები არიან მართალნი: ელექტროკუციის შემდეგ ავაზაკის სხეული უეჭველად უნდა გასჭრან.

**

მაშასადამე ავაზაკის მოკვლაში ელექტროკუცია არაფერ შუაშია. ელექტრონი კი არა ჰკლავს კაცსა, არამედ ჯარა ექიმის დანა. ავაზაკის დასჯა, რომელიც „მშვიდობიანად“ ჩაივლის ხოლმე, მაშ აბა ასე ხდება: ჯერ კაცს მიაძინებენ და მერე დაჰკლავენ. რა საჭირო ყოფილა მაშ ის ელექტროკუცია? განა არ შეიძლება კაცს ჯერ ბანგი მისცენ და მერე დაჰკლან?

დავანებებთ თავს ამ ელექტროკუციას. დეე, ეხლა თვით მკითხველმა გასინჯოს, რა უფრო სასიამოვნო უნდა იყოს ავაზაკისთვის, „ელექტროკუცია“, თუ თოკით ჩამორჩობა. ერთს-კი ვისურვებ: ღმერთმა დაგვიფაროს ჩამორჩობისაგანაც, ელექტროკუციისაგანაც და ეგზეკუციისაგანაც.

ნება მიბოძე, მკითხველო, ცოტათი ვიფილოსოფოსო. რაზედ უფრო ჰფიქრობს მთელი კაცობრიობა? მე მგონია რომ კაცის კვლაზე. იმ თავიდგანვე კაცობრიობა სულ იმის ფიქრშია, ჩემი მოყვასი რითი და როგორ მოვკლაო. კაენმა აბელი კეტით მოჰკლა. მერე შუბები მოიგონეს, შვილდ-ისრები, ხმლები, ხანჯლები, მერე თოფის წამალი, დამბაჩები, თოფები, ზარბაზნები, ყუმბარები და კიდევ ვინ იცის რა. მერე დინამიტი, ნიტროგლიცერინი; შარშან კიდევ ვიღაცამ სადღაც ბალისტიტი მოიგონა. ერთს ისპანიელს კიდევ რაღაც ეშმაკური მიტრალიეზა მოუგონია, რომელიც ერთს წამში ორი ათასჯერ ისვრის თურმე. თითქმის ყოველ დღე წაიკითხავთ გაზეთებში, აი ასეთი და ასეთი მანქანა მოიგონეს ომში სახმარებლადაო. უმანკო მტრედებსაც-კი სწვრთნიან ომისთვის, დეპეშები ატარონო. ძაღლი, ეს ერთგული მეგობარი კაცისა, სამხედრო სამსახურში მიიღეს და ჯაშუშობას ასწავლიან. ედისონმა კიდევ გამოაცხადა, ისეთი მანქანა გამოვიგონე, რომ ცივი წყლით დაჰხოცავს ხალხსაო. ზოგი კიდევ ჰფიქრობს, იქნება ომისათვის ველოსიპედიც გამოდგესო...

აგერ გერმანიაში მთელი ალიაქოთია შესახებ იმისა, ჯარს მოუმატონ თუ არა. ერთის სიტყვით, ყველა იმასა ჰფიქრობს, ხალხი როგორ ამოვჟლიტოთო. წარმოიდგინეთ, მე ვინა ვარ, ვიღაც პედრო, მაგრამ მეც ისე გამიტაცა ამ საქმემ, რომ კაცის კვლაზედ თითქმის მთელი ფელეტონი გავაჭრელე... დიაღ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეოცე საუკუნეში მეცნიერება ისე ამოუდგება გვერდში ცხოვრებას, რომ შესაძლოა ისეთი მანქანა მოიგონონ, რომლის შემწეობითაც ადვილად შესაძლებელი იქნება ერთს სუთას მთელის ქვეყნიერობის განადგურება...

**

ორიოდე სიტყვასაც მოგახსენებთ ცოტა უფრო სამხიარულო საგანზედ. ზემოდ ველოსიპედი მოვიხსენიე. თურმე ნუ იტყვით ეს იარაღი ძლიერ სასარგებლო რამ ყოფილა ადამიანის ჯანითვის. არა გჯერათ? აი რასა სწერს ერთს სამეცნიერო ჟურნალში მკურნალი ტისიე. ველოსიპედით სრიალი ძლიერ სასარგებლოა ადამიანის ჯანისთვის: „ფილტვებს ამაგრებს, სისხლის მოძრაობას შველის და კუჭისთვისაც ძლიერ სასარგებლოა. ველოსიპედით სრიალი აგრეთვე ძლიერა რგებს ბუასილით ავადმყოფთ“. რა მშვენიერი იარაღი ყოფილა ეს დასაქცევი ველოსიპედი. ბუასილსაც-კი არჩენს თურმე. მეტი რაღა გნებავთ? ურიგო არ იქნება, რომ ყველა კანცელარიებმა თავიანთ მოხელეთათვის ერთი ან ორი ველოსიპედი შეიძინონ. ან არა და, უფრო კარგი იქნება, რომ დღესასწაულებისთვის ყველა მოხელეთ ხანგრძლივისა და ერთგულის სამსახურისთვის საჩუქრად თითო ველოსიპედი დაურიგონ სამსახურის დროს შეძენილ ბუასილის მოსარჩენად. ტისიე იმასაც ამტკიცებს, რომ ველოსიპედით სრიალი ადამიანს ტვინს უმაგრებსო. მე ტისიეს არ აუხირდები. ვერც იმას ვიტყვი, მართალსა სწერს პატივცემული მკურნალი, თუ არა. მე მხოლოდ „რაც ვიყიდე, იმასა ვყიდი“, მაგრამ, თუ ტისიეს მიერ წარმოთქმული აზრი, — ველოსიპედით სრიალი ტვინს ამაგრებსო — მართალია, მაშ ნიუტონს ძლიერ დაუშავებია, რომ ველოსიპედით არ უსრიალნია. ნიუტონს რომ ველოსიპედით ესრიალნა, იქნება სიბერის დროს ჭკუაზედ არ შეშლილიყო და აპოკალიპსის კომენტარიების დაწერის მაგიერ, იქნება კიდევ ბუნების რომელიმე კანონი აღმოეჩინა.

მეც, თქვენი უმორჩილესი მონა, ველოსიპედით რომ დავსრიალებდე, იქნება უკეთესი ფელეტონი დამეწერა და რადგანაც ველოსიპედი სრულიად არ მომეპოვება, ნურაფერს უკაცრავად, თუ ეს ჩემი პირველი ფელეტონი არ მოგეწონათ.

პედრო

ლების ხუჭვას მოჰყვება და გაქცევას დააპირებს, მაგრამ სად წავა, მე სულ იმის თვალ-წინ ვიქნები და ველარ შეიძლებს. რომ ადგეს, საშინელი ხმალი ხელში მეჭირება და ნახამს გზასა ძნელსა და ცოლ-შვილსა, გვარევნობასა თვალით ანიშნებს, მაგრამ ვერას შეატყობინებს. მე-კი ვერავინ მხედავს, გარდა ავადმყოფისა: მე ცეცხლი ვარ და ხორცი არა მაქვს.

ჰკითხვა გრიგოლ განმანათლებელმან ანგელოზსა, როგორ ამოართმევ სულსა მართალსაო?—მიუგო ანგელოზმან: მივალ და ვეჩვენები, ისე ვითარცა ვპატიჟობდე ქორწილში თავდაბლად და მშვიდობიანის სახით და, როდესაც დამინახავს, სული განსვენებაში განწესდება. მივიღებ ხელსა მართლისასა, ვითარცა მზე ბრწყინვალე სავსე ნათლით და, ხელში რომ დავიჭერ, თავყანს ვსცემ სულსა მართლისასა“.

ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითად ეს ნაწყვეტი დასამტკიცებლად იმ აზრისა, რომ ჩვენ ხალხის შეხედულებაზედ, როგორც სხვა ერთა შორისაც, დიდი გავლენა იქონია აპოკრითებმა. ვის არ გაუგონია სულთამხუთავის ამბავი, რა ნაირად ართმევს სულს მომკვდავს? განა აქ საერთო კავშირი არ უნდა ჰქონდეს აპოკრითების გავლენასა ერზედ და ერის წარმოდგენასა აპოკრეთების შექმნაზედ? ჩვენი ერის გონების საზდოს შესასწავლად აპოკრითები ერთს საუკეთესო წყაროს შეადგენენ. ამ ჟამად რამდენიმე აპოკრითი უკვე გადავთარგმნეთ რუსულად და ზოგიერთი გავგზავნეთ „მწყემში“ დასაბეჭდად. ჩვენ აზრად გვაქვს ლეგენდები და აპოკრითები დაახლოვებით შევისწავლოთ და ამიტომ ვთხოვთ, ვისაც შეუძლიან, გვათხოვონ ხელ-ნაწერები ასლის გადასაღებად ან აღბეჭდონ ჟურნალ-გაზეთებში და ცალკე წიგნებად, თუ საჭიროდ დაინახვენ. ამით ჩვენი სიტყვიერების ისტორიის შესწავლას დიდს სამსახურს გაუწევენ.

ა. ხახანაშვილი.

## რუსეთი

უკანასკნელ წიგნში Собраніе узаконеній გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო საბჭოსი იმის შესახებ, თუ ამ 1893 წელს სხვა-და სხვა ქალაქებისა და დაბების მამულებიდგან რამდენი გარდასახადი აილონ. სულ ამ წელს ქალაქ-დაბების მამულების გარდასახადი 7.640,300 მანეთია დანიშნული, 838,500 მანეთით მეტი შარშანდელზედ. ზემოთ-აღნიშნულ გარდასახადიდგან ნახევარი მოსკოვისა, პეტერბურგისა, ხერსონისა, ლიფლიანდიისა და კიევის გუბერნიების მამულებს შეხვდება. კერძოდ, პეტერბურგის გუბერნიის მამულებს — 1.320,000 მანეთი, მოსკოვისას — 1.331,000 მანეთი, — ორივესი ერთად — 2,651,000 მანეთი ე. ი. ერთ მესამედზედ მეტი იმისა, რაც სულ მთლად რუსეთის საქალაქო მამულებზეა დანიშნული.

ამ საგნის შესახებ გაზეთი Новости სწერს: მამულების გარდასახადის განაწილება სხვა-და-სხვა ქალაქებზე ცოტა არ იყოს უკმაყოფილებას ჰბადავს ქალაქების მცხოვრებლებ შორის. წლევანდელი გარდასახადი სხვა-და-სხვა ქალაქების მამულებზე დანიშნულია იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც 1886 წელს შეიკრიბა და შარშან შესწორებით სულ ახლად განხილულ იქმნა ხარჯთ-ავსების ინსპექტორებისაგან. ცნობების თუ თავის საჭიროებისა გამო ქალაქებში მეტის სინამდვილითა და სისწორით მოახდინეს თავიანთ უძრავ ქონების დაფასება, ამის შესახებ ცნობებს ხარჯთ-აკრეფის ინსპექტორები ფინანსთა სამინისტროს უგზავნიან; თუ ქალაქები თავიანთ უძრავ ქონებას სისწორით-კი არა, ისე ერთის თვალის შეხედვით აფასებენ, ასეთ მამულებს ინსპექტორები ხელ-მეორედ თვითონ აფასებენ და ბევრჯელ იმაზედ ნაკლებ ფასს დასდებენ ხოლმე, რაც მამული ნამდვილადა ღირს. ამიტომ, რასაკვირველია, იმ ქალაქის მამულები, სადაც რიგიანად მიდის უძრავ ქონების დაფასება, მეტ გარდასახადს იხდიან, ვიდრე ის ქალაქები, საცა ცუდად სწარმოებს მამულების დაფასება. ეს გარემოება ქალაქებს სურვილს უქარწყლებს, რიგიანად მოახდინონ უძრავ ქონების დაფასება და ამ დაფასებათა სასტატისტიკო ცნობანი შეკრიბონ. ამიტომაო, ამბობს ბოლოს გაზეთი, დროა ყველა ქალაქების მამულების საზოგადო დაფასება ერთგვარად მოვახდინოთ და დავადგინოთ საზოგადო წესი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ხარჯთ-აკრეფის ინსპექტორებმა ამ საგნის შესახებ ცნობათა შეკრეფის დროსაო.

— 1893 წ. პირველ ოქტომბრიდან ამ წლის 1 თებერვლამდე გაჭირვებულთა და დამშეულ ხალხისათვის მიუწვდენია სარჩოდ მთავრობას 9.680,000 მანეთი. აქედან ვორონეჟის გუბერნიას ერგო — 1.600,000 მანეთი და დანარჩენი განაწილდა ხერსონისა, ორლოვისა, ტულას, კურსკისა, ბესარაბიისა, ყაზანისა და სამარას გუბერნიებსა და დონის ოლქში.

— შინაგან სამინისტროს ცნობებიდგან სჩანს, რომ 1891 წელს მოუსავლობისაგან დამშეულ გლეხებს, რომელთაც მთავრობამ შემწეობა აღმოუჩინა, ამა წლის პირველ იანვრამდე უკან დაუბრუნებიათ მთავრობისათვის 12.700,000 ფუთი პური.

— პროფესორ ვოეიკოვს გამოუკვლევია ის აზრი, ვითომც ცივ-სუსხიან ზამთარს თბილი გაზაფხული მოსდევსო. პირ-იქით დიდის ხნის დაკვირვებამ ჰავის მიმდინარეობისა გვარწმუნებს, ტყუილია, რომ ცივ ზამთარს ცივი გაზაფხული უნდა მოჰყვესო, რადგან ბევრ თოვლ ყინვის დასადნობად ბევრი სითბოც იხარჯება მზისაო. ამიტომ წლეულს, ცივ ზამთრის შემდეგ გაზაფხულის თვეებიც ცივი იქნებაო.

### გერმანიის სამხედრო კანონ-პროექტის გამო.

სამხედრო კომიისის კრებაზედ კანცლერმა კაპრივიმ უთხრა რიხტერს, შენ თითონ ლათინური ანდაზასავით იქცევი: «sic volo, sic jubeo“. ამასთანავე კაპრივიმ დასძინა, ძლიერა ვსწუხვარ, რომ გერმანიაში ისეთი წეს-წყობილება არ არსებოს, როგორც ინგლისშიო, სადაც ოპოზიციის მეთაური უეჭველად უნდა დაეკითხოს თავის თავს, მე თითონა როგორ უნდა მოვიქცე, აწინდელი მთავრობა რომ გადავაყენო. რიხტერი რომ ჩემ ალაგას იყოსო, სთქვა კანცლერმა, ისიც ისე მოიქცევოდა, როგორც მე ვიქცევიო.

რიხტერმა უპასუხა: კანცლერმა ბრძანა, რომ ჩვენ ვერ დავუმტკიცეთ მას სამხედრო კანონ-პროექტის უვარგისობა და ვთხოვთ-კია, რომ პროექტის განხორციელებაზედ უარი განაცხადოს. სამხედრო კომისია რომ სამხედრო საქმეთა შესახებ კამათობისთვის დაარსებული კლუბი იყოს, ვიტყოდი, რომ კანცლერის მიერ ჩემდამი მომართული სიტყვა ძლიერ მოსწრებული სიტყვაა; აქ-კი მხოლოდ იმას ვუპასუხებ, რომ ჩვენ შორის ყველანი დარწმუნებულნი ვართ, რომ დიდი ჯარის ყოლა უფრო უკეთესია, ვიდრე მცირე ჯარის ყოლა, და ძლიერ დიდის ჯარის ყოლა უფრო უკეთესია ვიდრე დიდის ჯარისა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ ამაზედ-კი არ ვკამათობთ ახლა. საქმე ისაა, რამდენად შესაძლებელია ჩვენთვის ამ ჟამად ჯარის მომატება, რამდენად გვაძლევს ამის ნებას ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. ამ საქმის განხილვის დროს გარდაწყვეტილების უარყოფა რეიხსტაგის უარყოფას ნიშნავს. თუ ასე მოიქცევით, მაშ ჩვენი პარლამენტი მხოლოდ ისეთ მაშინად მიგაჩნიათ, რომელმაც ახალი გარდასახადი უნდა დაამტკიცოს ხოლმე. არც ერთს, კონსტიტუცია მინიჭებულ სახელმწიფოში მიღებული არ არის ბრძოლა პალატის უმრავლესობის წინააღმდეგ ბრძოლა იმ ფულის შემწეობით, რომელსაც მთავრობა ხალხს ართმევს იმავე პალატის წყალობით.

რაც შეეხება კაპრივის სიტყვებს, რომ ვითომ მე ისე ვიქცევი, როგორც ლათინური ანდაზა ამბობს: „sic volo, sic jubeo“, ეს სიტყვები სრულიად მე არ შემეფერება, რადგანაც ხელთ არც ძალა მიპყრია და არც ხელქვეითები მყავს, რომ ვუბრძანო რამე. ჩემი ძალა მხოლოდ ის არის, რამდენად შევძლებ ჩემის აზრების დასაბუთებასა და დამტკიცებას. რაც შეეხება იმას, კანცლერმა რომ ბრძანა, ინგლისის პარლამენტი მომწონსო, ამაზედ მეც ვეთანხმები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენის აზრით, ასეთი პარლამენტი იმიტომ-კი არ არის მოსაწონი, რომ ოპოზიციას კარგადა აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა, არამედ იმიტომ, რომ მთავრობასაც კარგადა აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა წინაშე ერისა. კანცლერი მკითხავს, როგორ მოვიქცეოდი მე თითონ, მთავრობის ადგილას რომ ვყოფილიყავიო. ამ კითხვას ჩემთვის არც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც ვაღიარებ, რომ სინიდისი ნებას არ მომცემს მოვთხოვო მთავრობას ის, რასაც მე თითონ უარვყოფდი, იმის ალაგას რომ ვყოფილიყავ. პარლამენტში ჩემ მოღვაწეობის 25 წლის განმავლობაში მე არა ერთხელ გამიგონია მინისტრებისაგან, რომ ჩემის თხოვნის და სურვილის ასრულება შეუძლებელია, მაგრამ გასულა რამდენიმე წელი და ისევ იმავე მინისტრების აზრით, ჩემის სურვილის ასრულება შესაძლებელი გამხდერა. ამიტომ ოპოზიცია ამ შემთხვევაში სრულებით არ უნდა დაეკითხოს თავის თავს, როგორ მოვიქცეოდი, ვინიცობაა მთავრობის ალაგას მე ვყოფილიყავიო. ჩვენ რომ ისეთი მთავრობა გვყავდეს, რომელიც ცოტად არის პარლამენტს პატივსა სცემს, არასოდეს არ წარმოგვიდგენდა ასეთს სამხედრო კანონ-პროექტს, ვიდრე ამ კანონ-პროექტის შესახებ ყველა დასის აზრს არ შეიტყობდა, თუ გინდ წარმოედგინა კიდეც ასეთი კანონ-პროექტი, იმ წამსვე უარ ჰყოფდა, როცა დარწმუნდებოდა, რომ პარლამენტის უმრავლესობა წინააღმდეგია ამ პროექტისა.

### ჟიულ ფერრის სიკვდილი

1887 წლის 10 დეკემბრამდე ჟიულ ფერრი ძლიერ ჯან-საღი იყო. შრომა, გრძნობათა ღელვა თითქოს არ ჰღალავდა ამ საკვირველის ჯანის პატრონს კაცს, რომელსაც ადვილად შეეძლო ყოველ გვარ შრომისა და ჯაფის ატანა. მაგრამ ობერტონის განზრახვამ ძლიერ ავნო ფერრის ჯანმრთელობას. აი როგორ იყო საქმე. პალატის კრების დროს ფერრის ვილამაც დაუძახა. ფერრი გამოვიდა და ამ დროს ობერტენმა სამჯერ დამბაჩა დასცა. ფერრის მხოლოდ ორი ტყვია მოხვდა. ერთმა ტყვიამ გული გაუფხაჭნა. პირველად ყველას ეგონა, ფერრის არაფერი დაუშავდება და ადვილად გადარჩებაო. თვით ფერრი ძლიერ მხიარულად იყო, ხუმრობდა, იცინოდა. განვლო რამდენმამე თთვემ და დაჭრილი ფერრი გულში სრულებით არა ჰგრძნობდა ტკივილს. პირველად ფერრიმ გულში ტკივილი 1888 წელს იგრძნო, მკურნალებმა აღიარეს, რომ ამ ტკივილების მიზეზი ის იყო, რომ ტყვიამ გულის ნერვები დაუშავაო. მას შემდეგ ფერრის ჯანი გაუტყდა და თანდათან უძლურდებოდა, გახდა, დასუსტდა. მკურნალები ამბობდნენ, რომ ფერრის ავადმყოფობა ძლიერ საშიშიაო. სენატის პრეზიდენტის არჩევის გამო მღელვარებამ უფრო მალე მოუსწრაფა სიკვდილი. სიკვდილის წინა დღეს ფერრი სენატში იყო და სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულ ჟამეტელის შესახებ. შინ რომ დაბრუნდა, ძლიერ ავად გახდა, მაგრამ მაინც უნდოდა სენატორ პუარესთან წასვლა. ცოლმა ძლივს დაითანხმა, შინ დარჩენილიყო. ფერრი წამოწვა, ჯერ გაეცია, მაგრამ მერე ჩაეძინა და $1^1/_2$ საათამდე კარგად ეძინა, შემდეგ გულის ტკივილისაგან გამოეღვიძა და საშინლად იტანჯებოდა, სული ეხუთებოდა. შარლ ფლოკემ, რომელიც ფერრისთან ერთს სახლში იდგა, იმ წამსვე მკურნალი ვორმსი მიიწვია. შემდეგ სხვა მკურნალებიც მიიწვიეს. დილის ხუთ საათზედ ფერრი ცოტა უკეთ გახდა. 9 საათზედ მკურნალები ისევ შეგროვდენენ და წამლები მისცეს. ფერრი უფრო კარგად გახდა. ყველას იმედი მოეცა ფერრის მორჩენისა, თვით ავადმყოფის გარდა. ფერრი ყველას ეუბნებოდა, სიკვდილი მომიახლოვდა და ველარ მოვრჩებიო. 4 საათზედ ფერრი ძლიერ შეწუხდა. მკურნალებმა ბანგი მისცეს და ავადმყოფმა გრძნობა დაჰკარგა. 6 საათზედ ფერრი გონს მოვიდა, წამოდგა ლოგინიდგან, ხალათი ჩაიცვა, დაუძლურებული სავარძელზედ გადაესვენა და რამდენსამე წუთს შემდეგ სული განუტევა.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** სასამართლომ დამნაშავედ იცნა ბაიო. ლესეპსის შესახებ შეიწყნარა დანაშაულობის შემამსუბუქებელი გარემოებანი. დანარჩენი ბრალდებულნი გაამართლეს. ლესეპსმა ორიოდე სიტყვა სთქვა თავის მამის შესახებ და მიჰმართა მსაჯულთ: თუ შევასრულე დაჟინებული თხოვნა რამდენისამე კაცისა, მხოლოდ იმიტომ, რომ ვზრუნავდი აქციების ასისა და ათასის პატრონისთვისაო. „ამ დიდებულს წუთსაო — დასძინა ლესეპსმა, — ვგრძნობ, რომ გინდათ შეიტყოთ ყოველივე სიმართლე. უკანასკნელად დავეკითხე ჩემს სვინიდის და ვამტკიცებ, რომ რაცა ვსთქვი, ყოველივე მართალიაო“. ეს სიტყვები ათრთოლებულის ხმით იყო წარმოთქმული და დიდად იმოქმედა საზოგადოებაზე. ნაფიცმა მსაჯულებმა სთქვეს, დანაშაულნიაო: ბლონდენი, ლესეპსი და ბაიო; არ არიან დანაშაულნიო: ფონტანი, სანლერუა, ბერალი, დიუგე-დე-ლა-ფონონნერი, გობრონი და პრუ. ამას შემდეგ სასამართლომ ითათბირა და ზემოხსენებული განაჩენი დაადგინა.

**ინგლისი.** ჰომრულის მეორედ წაკითხვა გადადებულ იქმნა ნაადგომევისათვის. ცუდი ნიშანია ეს გარემოებაო, ამბობენ გაზეთები. ეხლა პარლამენტი კრედიტების განხილვას შეუდგა. ნაადგომევს დაიწყებს ჰომრულის განხილვას. სულ ცოტა მეორედ წაკითხვას სამი კვირა მოუნდება პარლამენტიო. შემდეგ თითოეულ მუხლობით წაკითხვა ძლივს დაიწყება მაისის ნახევრიდამ. ჰომრულში სულ 40 მუხლია და 7 დამატება. ორთა-შუა რიცხვით, თითოეულს მუხლსა და დამატებას თითო საღამოს მოუნდება. ამ სახით 15 ივლისისთვის ძლივს გათავდება ასეთი განხილვაო. მაგრამ, საქმე ის არის, რომ სხვა საქმეებიც გაჩნდება ამ ხანში. ასე რომ სესსიის გათავებამდე ვერც ჰომრულის განხილვა გათავდება. ამ შემთხვევაში სხვა წინადადებანი და პროექტები სამინისტროსი სრულიად განუხილველი დარჩება. ეს-კი შეუძლებელია, ამიტომ რომ ძალიანავნებს სამინისტროს. თუ მოხერხდა და ეს პროექტები გადიდო შემოდგომის საგანგებო სესიისათვის, კიდევ კარგი, ამიტომ რომ მაშინ შესაძლო იქნება გაზაფხულის სესია სულ ჰომრულს მოანდომოს პარლამენტმა.

— 4 მარტს ლონდონის უნივერსიტეტის დარბაზში „სამეფო საზოგადოების კრებაზე პროფ. ვირხოვმა წაიკითხა ინგლისურად ლექცია „მნიშვნელობა და როლი პატოლოგიისა საბიოლოგიო მეცნიერებათა შორის“. დაესწრნენ დიდძალი საზოგადოება და ყველა გამოჩენილნი მსწავლულნი ინგლისისა. ვირხოვმა მადლობა გადუხადა საზოგადოებას იმ მედლისათვის, რომელიც მან უბოძა, და შემდეგ მოუთხრა, როგორ განვითარდა მედიცინა და მასთან ერთად საბუნების-მეტყველო მეცნიერება და რა ღვაწლი მიუძღვით ამ საქმეში ინგლისის მსწავლულთაო. საღამოს ვირხოვის პატივსაცემლად გამართულ იქმნა წვეულობა, რომელსაც დაესწრნენ ყველა გამოჩენილნი მეც-

ნერნი ინგლისისა. საზოგადოების თავმჯდომარემ ლორდმა კელვინმა ადღეგრძელა ვირხოვი; სადღეგრძელოს დიდის ამბით მიეგებნენ დამსწრენი. პროფ. გიოქსლიმ წარმოსთქვა სიტყვა და განმარტა, რა ღვაწლი მიუძღვის გერმანიის შესანიშნავს მსწავლულს.

**ავსტრი-უნგრია.** 84 წლის მოხუცმა სმოლკამ თავი დაანება რეიხსრატის თავსმჯდომარის თანამდებობას. რეიხსრატმა გადასწყვიტა, დავდგათ მისი ბიუსტი ჩვენს პარლამენტში და სახელმწიფო ხაზინიდამ დავუნიშნოთ საპატიო პენსიაო. სმოლკა მონაწილეობას იღებდა საპოლიტიკო საქმეებში 1848 წლიდამ და უმეტესად მისი მადლობელნი უნდა იყვნენ გალიციის პოლშელნი იმ საუპირატესო მდგომარეობის გამო, რომელიც იმათ უჭირავთ დღეს გალიციაში. სმოლკა პალატის პრეზიდენტად 12 წელიწადი იყო. მის მაგიერ არჩეულ იქმნა ვიცე-პრეზიდენტი პალატისა ხლუმეცკი, გავლენიანი წევრი ავსტრიისლიბერალ—გერმანელთა დასისა.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

გულითადს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც შემოსწირეს წიგნები და ჟურნალ-გაზეთები სასარგებლოდ ქვემო-რაჭის წიგნთ-საცავს. აი სიაც შემომწირველთა: ბლ. მღ. ნიკიფორე კანდელაკმა შემოსწირა: თორმეტი წიგნი ქართულს ენაზე, „მეურნე“ 1888 წლისა უდაში, გაზეთი „ივერია“ 1891—1892 წლებისა, რუსული საგვირაო გაზეთი თორმეტის სხვა წიგნებით 1891 წლისა, რუსული ჟურნალი სამ წიგნად 1889 წლისა სულ—43 მანეთისა; მღ. მიხეილ მესხმა—ოცი ბროშიურა ქართულს ენაზე—1 მანეთისა; მღვდელმა სიმონ კახეთელიძემ—9 წიგნი ქართულს ენაზედ—1 მან., და 70 კაპეიკისა; ტრიფონ ბედელაძემ—ექვსი რუსული წიგნი და ერთიც ქართული—5 მანეთისა.

ქვემო რაჭის წიგნთ-საცავის დროებით გამგე მღ. იოანე ქიქინაძე

---

## გამოსადეგი ცნობანი.

ღვინის საწმენდად აქამდე მხოლოდ წებოსა (თეთრი ღვინისათვის) და კვერცხის ცილას (წითელი ღვინისათვის) ხმარობდნენ. ეხლა-კი ბ-ნ ნესლერმა ერთი უფრო უბრალო და ადვილი საშუალება მოიგონა. თეთრ ღვინოში, თუ მრიელ მექია, უნდა გაურიოთ აუდუღარი რძე. საცდელად აიღეთ ერთი ბოთლი თეთრის ღვინისა, შეურიეთ ერთი კოვზის პირი სუფთა აუდუღარი რძე და ორ-სამ დღეს აცალეთ. სამის დღის შემდეგ დარწმუნდებით, როგორ დასწმინდავებს და მშვენიერს ფერს მისცემს რძე ამღვრეულს ღვინოს. რვა ვედრო ღვინოზედ საკმარისია ერთი ან ერთნახევარი ჭიქა რძე. ეს საშუალება თუმცა თეთრ ღვინოს ესე უხდება, მაგრამ წითელ ღვინისათვის-კი არ ვარგა.

---

# დეპეშა

19 მარტი

**პეტერბურგი.** გათავებულ იქმნა და 16 მარტს წარედგინება სახელმწიფო საბჭოს პროექტი ახალ კანონისა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დააჯილდოვონ სამრეწველო ქარხნების პატრონებმა დაჭრილ-დამავებული მუშები ანუ მათ სიკვდილის შემდეგ მათი ცოლ-შვილი.

**სევასტოპოლი.** დღეს რუსეთის საზოგადოების ორთქლ-მავალით „ოლეგით“ მოვიდა სერბიის დედოფალი ნატალია და მაშინადვე წავიდა იალტას ცხენებით.

პეტერბურგის ბირჟა, 16 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,87 | 7,60 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 151 | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | 1,16 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240$^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221$^1/_2$ |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | 99$^3/_8$ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 195$^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | — ,, | 102 | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — ,, | 102 | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99$^1/_4$ | — . | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

---

ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | | | | 5 კ. |
| წითელი „ | 1-ის ხარისხ. | | | „ | 4 „ |
| „ | „ | 2 „ | „ | „ | 3$^1/_2$ „ |
| „ | „ | 3 „ | „ | „ | 3 „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | | | | „ | 5 კ. |
| „ | „ | „ | 2 | „ | 4 „ |
| „ | „ | „ | 3 | „ | 3$^1/_2$ |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავამ. 1 გ. | | | | | 7 კ. |
| მე-2 | „ | „ | „ | „ | 5 „ |
| მე-3 | „ | „ | „ | „ | 4 „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | | | | | 7 კ. |
| სუკი | — | — | — | | 12 „ |
| ცხვრის ხორცი | — | — | — | | 7 „ |


# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—31)

---

ახალ-სენაკში

კ. თავართქილაძის ახალ სტამბაში დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიებს, სადაც-კი ქართული წიგნები იყიდება, შემდეგი ახლად გამოცემული წიგნები:

1) „ჩანგი“, პირველ გამოცემიდან გადმობეჭდილი და მრავალი ახალი ლექსების და სცენების დამატებით, მშვენიერი ყდით, ფასი 1 მ.

2) „გამიჯნურებულ ქალ-ვაჟის მიწერ მოწერა“, ვინმე მესხისა, 5 კ.

3) „არსენას ლექსი“ სურათით 5 კ.

4) „ვეფხის-ტყაოსანი“, მეორედ გამოცემული ქ. ოზურგეთში, გასწორებული, მოკლე ბიოგრაფიით და სურათით, 40 კაპ.

5) „რამდენიმე მოთხრობა“, ნინოშვილისა, 50 კ.

6) „სიმონა“ მისივე 30 კაპ.

7) „ზანგის სამკვიდრო“, თარგმანი დათიკო ვერმიცანაშვილისა, 10 კ. და სხვა-და-სხვა წიგნები.

---

## თესლეულობით ვაჭრობა

ბ. გ. ლარმესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მიიღე

## ახალი თესლეულობა

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

(15—14)

---

## ნუ უიდულობთ ოლე-ვაზელინის საპონს როიალ-კონგო

რომელსაც გასაფრთხილებელი ნიშნები არა ჰქონდეს გამომგონებისაგან

## ე. ბოდლო და კº საგან

გაუფრთხილდით ყალბ სა-პონს!




გაუფრთხილდით ყალბ სა-პონს!

ჩვენ იძულებულ ვართ თითოეულ ნაჭერს ოლე-ვაზელინის „როიალ-კონგოს“ საპონს გასაფრთხილებელი ნიშნები გაუკეთოთ, რადგან აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც აკეთებენ ჩვენის საპნის მიმსგავსებულს ეტიკეტითაც და სხვაფრივაც.

ე. ბოდლო და კº

ადრესი: Москва, 3-я Мѣщнская, д. № 49. магазинъ: китайскiй проѣздъ, д. Хлудовыхъ. (12—9)

---

# მმქარხნემბი

სავაჭრო სახლი

## ბენდერ-სტეფანოვი

**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნახახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—13)

---




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ძღოლო თუთაევსა

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20°/₀-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შევატყობინონ.

(48—5) ალ. თუთაევი


Доз. ценз. Тифлисъ, 19-го Марта 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.